

მარინე გიორგაძე
პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

პოეტური ფორმულების თარგმნის საკითხისათვის ილიადის ქართული თარგმანების მიხედვით

თეზისები: პოეტური ფორმულების (პოეტური ფორმულა: გამოთქმა, რომელიც რეგულარულად ერთსა და იმავე მეტრიკულ პოზიციაში გვხვდება და მნიშვნელოვან აზრს გადმოგვცემს) შესწავლის საკითხი მეცნიერებაში ე.წ. „ზეპირი პოეზიის“ (oral poetry, – მ. პერი, ა. ლორდი) თეორიის კონტექსტში გახდა აქტუალური და ეპოსის შექმნის ფოლკლორულ მექანიზმებსა და შესრულების ტექნიკას უკავშირდება. ზეპირსიტყვიერებას, ფოლკლორულ ეპოსს თავისი კანონები აქვს და პოეტური ფორმულების ფართო გამოყენებას ეყრდნობა. მთქმელს შეუძლია დაიმანსოვროს ასეულობით სტრიქონი და ზეპირად შესრულებისას, იმპროვიზაციის პროცესში მუდმივად აახლებს ტექსტს, რასაც ახერხებს სწორედ იმ ტრადიციული პოეტური ფორმულების დიდი მარაგის გამოყენებით, რომელიც დაცულია მის მემსიერებაში.

მ. პერიმ და ა. ლორდმა, ასევე მათმა მიმდევრებმა ზეპირი პოეზიის თეორია იმის დასამტკიცებლადაც გამოიყენეს, რომ ილიადასა და ოდისეაში პოეტური ფორმულების უხვი გამოყენება პოემების ზეპირსიტყვიერ ხასიათზე მიუთითებს და არ გულისხმობს წერილობითი ტექსტის არსებობას, რაც საკამათოა.

ჰომეროსის პოემებში — ილიადა, ოდისეა — პოეტურ ფორმულებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს როგორც შინაარსის, ასევე კომპოზიციის თვალსაზრისით. ფაქტია, რომ ჰომეროსის ეპოსი შეიქმნა არქაულ ეპოქაში, როცა ფოლკლორული ტრადიცია ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აედებისა და რაფსოდების შემოქმედებაზე. შედეგად, პოეტური ფორმულების, პოეტური კლიშეების, ხშირად

განმეორებადი სტრიქონების სვედრითი წილი ჰომეროსის პოემებში მართლაც თვალშისაცემია.

საინტერესო საკითხია, თუ როგორ გადმოსცეს ქართველმა მთარგმნელებმა თავის თარგმანებში ტრადიციული ფორმულების ენა, რამდენად ითვალისწინებს მათი თარგმანები ფონურ ცოდნას აღნიშნული მეცნიერული თეორიების კონტექსტში. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ჰომეროსის *ილიადის* ქართული თარგმანების (პოეტური, პროზაული) განხილვა, კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია თარგმანის ხარისხისა და მთარგმნელის კვალიფიციურობის დასადასტურებლად.

საკვანძო სიტყვები: პოეტური ფორმულები, ზეპირი პოეზიის თეორია, ეპიკური სტილი, ფორმულების ენა, ფონური ცოდნა, მთარგმნელის კვალიფიკაცია

Abstract: Poetic formulas (Poetic formula is defined as an expression, which stands in the same metric position on a regular basis and transfers a meaningful idea) became relevant for the scholarly studies in the context of the so-called “oral poetry” (M. Perry, A Lord) theory.

It is related to the folklore mechanisms of the epic poems and technique of their composition.

The folklore epos relies on its own poetic formulas, governed by its own genre laws. A speaker can remember hundreds of stanzas and re-create some of them during the oral performance, improvising the text. S/he can improvise using resources, the poetic formulae accumulated in her/his memory.

M. Perry, and A. Lord, as well as their followers, base their arguments on the theory of oral poetry to prove that Iliad and Odyssey emerged as oral poems, rather than written texts. However, this hypothesis is still debatable.

Iliad and Odyssey by Homer are embedded with poetic formulas; their functionality is palpable in the composition and narration of the poems. Homer created his poems in the archaic era when the folklore retained a strong influence on the Aedes and Rhapsodes. As a result, the number of established poetic formulas, poetic clichés, and repeatedly used stanzas is quite high in Homer’s poems. We presume interesting to explore the language of the traditional formulas transferred by the Georgian translators and examine

whether their translations apply background knowledge in the context of the proper scholarly theories.

In this regard, we studied Georgian translations of Homer (both poetic and prose). Translation analysis, as focused on the poetic formulas, seems to be applicable as an extra instrument to check the quality of translation and efficiency of a translator.

Keywords: Poetic formula, theory of “oral poetry”, epic style, language of the traditional formulas, background knowledge, quality of translation, efficiency of a translator

პოეტური ფორმულების ინტენსიურად შესწავლის პროცესი მეცნიერებაში ფოლკლორული ეპოსის შექმნის მექანიზმისა და ზეპირი პოეზიის (oral poetry) თეორიას, კერძოდ, ამერიკელი მკვლევარების, მილმან პერისა და ალბერტ ლორდის საინტერესო კვლევებს უკავშირდება. საკითხი აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ, ზოგადად, ჰომეროსის პოემათა ერთიანობის, ანუ ჰომეროსის საკითხის ქრილში განიხილება (გორდებიანი, *ანტიკური ლიტერატურა* 49).

მ. პერიმ და ა. ლორდმა, ფოლკლორული ეპოსის შექმნისა და შესრულების ტექნიკის გასაცნობად, შეისწავლეს ბალკანეთის ხალხთა ეპიკური და ლირიკული სიმღერები, ათასობით ტექსტი და ანალოგიით დაასკვნეს, რომ სავსებით შესაძლებელია ზეპირი გზით ისეთი მოცულობის ეპოსის შექმნა, როგორცაა, მაგალითად, ილიადა და ოდისეა. გაირკვა, რომ ზოგიერთ მთქმელს ათასობით სტრიქონის დამახსოვრებაც შეუძლია ზეპირად. მთქმელი არსადროს იმეორებს ერთსა და იმავე ტექსტს, მუდმივად აახლებს, რასაც ახერხებს ტრადიციული ფოლკლორული ფორმულების დიდი მარაგის გამოყენებით, რაც დაცულია მის მენსიერებაში. მ. პერისა და ლორდს, რომლებიც პოემებს — ილიადასა და ოდისეას — ნახევრადიმპროვიზებული ზეპირი შემოქმედების შედეგად მიიჩნევდნენ, გამოუჩნდნენ მიმდევრებიც (ბოურა, პეიჯი, უალონი), ასევე მოწინააღმდეგენიც (ლესკი, ტრონსკი). სწორედ ამ მეცნიერების კვლევებმა შეუწყო ხელი ზეპირი პოეზიის ღრმად შესწავლას. ნათელი გახდა, რომ ზეპირ შემოქმედებას აქვს თავისი კანონები და ის ემყარება პოეტური ფორმულების ინტენსიურად გამოყენებას (Parry, *Studies in the Epic Technique of Oral Verse-Making I. Homer and Homeric Style* 117; Pope, *The Parry-Lord Theory of Homeric Composition*; Whallon, *Formula, Character and Context* 1-21).

ზეპირი პოეზიის თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ფილოლოგიურ კვლევებზე, კერძოდ, ფოლკლორული ეპოსის კვლევებზე; დაიწყო

სხვადასხვა ხალხის ეპოსის ფორმულების ენის კვლევა: სერბო-ხორვატული ეპოსი, ყირგიზული მანასი, ინდური მაჰაბჰარატა და სხვ. დაიწერა გამოკვლევები იმის დასადასტურებლად, რომ ბეოულფი, ედა, სიმღერა როლანდზე და სხვ. თავდაპირველად ფოლკლორული ტრადიციის ფარგლებში ჩამოყალიბდა (Whallon, *op. cit.* 157-161).

შესაბამისად, მათ შენარჩუნებული აქვთ ფოლკლორული პოეტიკის ელემენტები, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ფორმულების ენა. პოეტური ფორმულების ენა მთელ შუა საუკუნეების ეპოსს ახასიათებს (ინდურს, არაბულს, მონღოლურს, ჩინურს, სპარსულს, ფრანგულს, ანგლოსაქსურს, ესპანურს და ა.შ.). ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ლიტერატურულ ტრადიციებში სტერეოტიპული მსგავსებების დადასტურება მოვლენის უნივერსალურ ხასიათზე მეტყველებს (Тронский, *Вопросы языкового развития в античном обществе* 50-55).

ჰომეროსის პოემებში პოეტურ ფორმულებს აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორც შინაარსისა და მხატვრული ელემენტის განვითარების, ასევე კომპოზიციისა და ეპოსის სტრუქტურის თვალსაზრისით, რაც უფრო ინდივიდუალურ შემოქმედებით კონცეფციას გულისხმობს. შესაბამისად, კომპრომისული ვერსიების ავტორები (ბოურა, ლესკი) უშვებენ ზეპირი შემოქმედის არსებობას, ვინც იცის დამწერლობა და თვითონ ჩაიწერა ტექსტი (გიორგაძე, *პოეტური ფორმულების სტრუქტურისათვის ძველ ბერძნულ და ქართულ ეპიკურ პოეზიაში* 2-3).

პოეტური ფორმულის განმარტება მ. პერიმ რამდენჯერმე მოგვცა, ერთერთი განმარტების მიხედვით, მკვლევარი ფორმულად მიიჩნევს გამოთქმას, „რომელიც რეგულარულად გვხვდება ერთსა და იმავე მეტრულ პოზიციამი, რათა გადმოგვცეს რაიმე მნიშვნელოვანი აზრი“. მოგვიანებით სიტყვა „გამოთქმა“ შეცვალა ტერმინით „სიტყვათა ჯგუფი“, თუმცა, ერთ სიტყვასაც მიიჩნევდა პოეტურ ფორმულად, თუ ამ სიტყვას მყარი პოზიცია ეჭირა ჰეგზამეტრულ სტრიქონში (Parry, *op. cit.* 80-84) .

მ. პერიმ თავისი გამოკვლევები დაიწყო ეპიკური ფორმულის ყველაზე გავრცელებული სახის, საკუთარი სახელისა და ეპითეტის ჯგუფის, შესწავლით.

მან დაადგინა, რომ ეს ლექსიკური ჯგუფი მჭიდროდ უკავშირდება ეპიკურ საზომს, ჰეგზამეტრს; ჩვეულებრივ, ამ სახის ფორმულები გამოიყენება ჰეგზამეტრული სტრიქონის ბოლო პოეტური ტერმების შესავსებად, პოეტი იყენებს მათ ყველა მსგავს შემთხვევაში (*Ibid.* 134) .

ჰეგზამეტრული სტრიქონი, შესაძლოა, ერთდროულად რამდენიმე ფორმულასაც შეიცავდეს. კიდევ უფრო გაფართოვდა ფორმულის

ცნება: მოკლე სიტყვათშეთანხმებები, უწინარეს ყოვლისა არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი; განმეორებადი სტრიქონები, რომლებიც გამოიყენება მსგავსი სიტუაციების აღწერისას. გამოყოფენ ფორმულების მესამე ჯგუფსაც, თემების განმეორებას, მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტური ენის და ეპიკური კომპოზიციის ერთეულები აღრეულია.

ჰომეროსის პოემების კვლევის შედეგად გაირკვა, რომ სტერეოტიპულ ფორმულათა რიცხვი პოემებში საკმაოდ დიდია, დაახლოებით 30%, ორივე პოემის 28000 სტრიქონიდან მეორდება, დაახლოებით 9000 (გიორგაძე, *op. cit.* 4) .

ჰომეროსის პოემებში დადასტურებული ფორმულები სტრუქტურული თვალსაზრისით, განსხვავებულია: შეიძლება მეორდებოდეს სიტყვათა ჯგუფი, სტრიქონის მეოთხედი, მესამედი, ნახევარი ან მთლიანი სტრიქონი; ფორმულებს ახასიათებს ვარიანტულობაც, მაგ., სტრიქონში ადგილის მონაცვლეობა (თავში, ბოლოში, შუაში); სიტყვათა ჯგუფები სხვადასხვა ბრუნვაში გვხვდება, შეიძლება ითქვას, რომ პოეტური ფორმულები „ბრუნება“ და „იუღლება“. ჰომეროსი, უეჭველია იყენებს ტრადიციული ფორმულების ენას, მაგრამ უმორჩილებს მას ინდივიდუალური შემოქმედების პრინციპებს.

მიუხედავად თავდაპირველი ფუნქციისა, ეპიკური სტილის ელემენტები, ზეპირი ტრადიციის მექანიზმი, პოეტურმა/სტერეოტიპულმა ფორმულებმა ეპოსში შეიძინა გამოკვეთილი მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია, განსაკუთრებით ეპიკური პერსონაჟების ინდივიდუალიზაციის თვალსაზრისით (Whallon, *op. cit.* 139-157).

ფაქტია, რომ პოეტური ფორმულები უფრო ფოლკლორული ეპოსისთვის დამახასიათებელი პოეტიკური ელემენტია, მაგრამ ტრადიციის თუ ინერციის გავლენით გვხვდება ინდივიდუალური ავტორის მიერ შექმნილ ეპოსშიც, რაც პოეტური ფორმულის საერთო ესთეტიკური კანონის გამოვლენაა.

პოეტური ფორმულების კომპლექსური, მრავალფუნქციური მნიშვნელობიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, საინტერესო საკითხია, თუ როგორ გადმოსცეს ქართველმა მთარგმნელებმა ილიადის ქართულ თარგმანებში პოეტური ფორმულების ენა, რამდენად ითვალისწინებს მათი თარგმანები აღნიშნული მეცნიერული თეორიების კონტექსტში; ეს საკითხები უშუალოდ მთარგმნელის კვალიფიკაციასა და თარგმანის ხარისხს უკავშირდება.

ამ შემთხვევაში, ჩვენ არ ვეხებით ჰომეროსის პოემათა ერთიანობის საკითხს და ეს პრობლემა გარკვეული თვალთახედვით გვინდა

წარმოვადგინოთ, კერძოდ, პოეტური ფორმულების მნიშვნელობა ჰომეროსის ეპოსში და მათი თარგმნის პრობლემა ილიადის ქართულ თარგმანებში. კერძოდ, განვიხილავთ ილიადის პირველ სიმღერას, რაც იმითაცაა საინტერესო, რომ ქართულ ენაზე სწორედ პომის პირველი თავის რამდენიმე თარგმანი გვაქვს: აკაკი ურუშაძის (პოეტური თარგმანი, 14-მარცვლოვანი ლექსით, I თავი, 611 სტრიქონი), რომან მიმინოშვილის (პოეტური, 14-მარცვლოვანი ლექსით, სრული ტექსტი), ზვიად გამსახურდიას (პოეტური, 18-მარცვლოვანი ლექსით, I თავი, 611 სტრიქონი), დავით წერედიანის (პოეტური, 18-მარცვლოვანი, I თავის დასაწყისი, 132 სტრიქონი), ლევან ბერძენიშვილის (პროზაული თარგმანი, სრული ტექსტი).

ილიადის პირველ თავში გვხვდება ათეულობით პოეტური ფორმულა, რომლებიც უკავშირდება ღმერთებს, ცალკეულ პერსონაჟებს, სხვადასხვა უსულო ნივთსა თუ მოვლენას და ა.შ. ანალიზისთვის, სტატიის მოცულობიდან გამომდინარე, შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე კონცეპტის განხილვით, რომლებიც ღმერთებს უკავშირდება. პომის პირველ თავში ყველაზე ხშირად ზევსი, აპოლონი და ჰერა იხსენიება, სულ რამდენჯერმე გვხვდება ჰეფესტო, ათენა, ნიმფები, ნერეიდები, ეოსი და სხვა. სტატიაში, ძირითადად, განვიხილავთ, ზოგადად, ღმერთებთან და, კონკრეტულად, ზევსთან დაკავშირებულ პოეტურ ფორმულებს:

ილიადის პირველ თავში სამჯერ იხსენიება უკვდავთა, მარადიულთა, ნეტართა დასი კრებსითად: I, 222; I, 290; I, 599.

ქართულ თარგმანებში შემდეგი ვარიანტები გვხვდება:

- **δαίμονας ἄλλους** (I, 222): უკვდავთ კრებულთან (აკ. ურუშაძე)/ უკვდავ ღმერთებს (რ. მიმინოშვილი)/ღმერთთა ანდებობას¹ (ზ. გამსახურდია) / ღმერთების გუნდს (ლ. ბერძენიშვილი);
- **θεοὶ αἰὲν ἔσονται** (I, 290): უკვდავ ღმერთებმა (აკ. ურუშაძე) / უკვდავ ღმერთებს (რ. მიმინოშვილი) / ღმერთებმა (ზ. გამსახურდია) / მარადიულმა ღმერთებმა (ლ. ბერძენიშვილი);
- **μακάρεσσι θεοῖσιν** (I, 599): უკვდავ ღმერთებმა (აკ. ურუშაძე) / ნეტარ ღმერთებს (რ. მიმინოშვილი, იმეორებს ზედმეტად I,601-ში) / ნეტარი ღმერთები (ზ. გამსახურდია) / ნეტარ ღმერთებს (ლ. ბერძენიშვილი).

ღმერთებიდან ყველაზე ხშირად პომის პირველ თავში **ზევსი** მოიხსენიება, ხშირად სწორედ ფორმულური ეპითეტების სახით:

1. ა(ლ)ხილვის-ყოფა

ზევის ფორმულურ ეპითეტებში დახასიათებულია წარმომავლობის, უნარების, ფუნქციების, თვისებების (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) მიხედვით:

- **μητίετα Ζεύς** (I. 174/5): უბრძენესი ზევსი (აკ. ურუშაძე) / ზევსი დიადი (რ. მიმინოშვილი) / ზევსი სახიერი (ზ. გამსახურდია) / ბრძენი ზევსი (ლ. ბერძენიშვილი);
- **αιγιόχοιο Διός** (I. 202): ფაროსანი ზევსის (აკ. ურუშაძე) / ფაროსან ზევსის (რ. მიმინოშვილი) / ეგისისმპყრობელის ზევსისას (ზ. გამსახურდია) / ეგისისმპყრობელი ზევსის (ლ. ბერძენიშვილი);
- **Ὀλύμπιος ἔγγυαλίξαι/Ζεύς ὑψιβρεμέτης** (I. 353/4): ოლიმპიელ ღმერთს, მაღლითმქუხველს (აკ. ურუშაძე) / მაღლით მგვრგვინავმა დიადმა ზევსმა (რ. მიმინოშვილი) / ოლიმპიელს... ზევსს ელვათამპყრობელს (ზ. გამსახურდია) / ოლიმპოსელ მაღლითმპყრობელ ზევსს (ლ. ბერძენიშვილი);
- **κλαινεφέϊ Κρονίωσι** (I. 397): ღრუბელთმეფე კრონიონი (აკ. ურუშაძე) / ზევსი, ღრუბელთმქუფრავი (რ. მიმინოშვილი) / ძეი კრონოსისა ღრუბელთმალავი (ზ. გამსახურდია) / კრონოსის შავღრუბლიანი ძე (ლ. ბერძენიშვილი);
- **Διὶ τερπικεραύῳ** (I. 419): ზევსი...მეხის დამცემი (აკ. ურუშაძე) / ელვისმტყორცნელს (რ. მიმინოშვილი) / ელვათამპყრობელს (ზ. გამსახურდია) / ელვისმტყორცნელ ზევსთან (ლ. ბერძენიშვილი);
- **Δία Κρονίωνα ἄνακτα** (I. 502): კრონოსის ყოვლისშემძლე მოდემას (აკ. ურუშაძე) / უკვდავთა მამას (რ. მიმინოშვილი) / ზევსს, დიად მეუფეს, კრონოსის ნაშიერს (ზ. გამსახურდია) / მეუფე ზევსს, კრონოსის ძეს (ლ. ბერძენიშვილი);
- **Ὀλύμπιε μητίετα Ζεῦ** (I. 508): ოლიმპოს მკვიდრო, ბრძენლ ზევსო (აკ. ურუშაძე) / ზეციურო მეუფე ზევსო (რ. მიმინოშვილი) / მამაო ზევსო (ზ. გამსახურდია) / ბრძენო ზევსო, ოლიმპოსელო! (ლ. ბერძენიშვილი);
- **προσέφη... νεφεληγερέτα Ζεύς:** (I.511/517/560): ზევსმა ღრუბელთბატონმა / (აკ. ურუშაძე) / ღრუბელთმქუფრავი / ღრუბელთშემკრებმა (რ. მიმინოშვილი) / კრონიონი, ღრუბელთა შემკრები / ღრუბელთმალავი / ზევსი ღრუბელთმალავი (ზ. გამსახურდია) / ღრუბელთშემკრები ზევსი (ლ. ბერძენიშვილი);
- **πατήρ ἀνδρῶν τε θεῶν τε** (I. 544): მამა უკვდავთა და მოკვდავთა (აკ. ურუშაძე) / ზევსმა, უკვდავთა და მოკვდავთა მამამ (რ. მიმინოშვილი) / მამა ყოველთა ღმერთთა და

მოკვდავთა (ზ. გამსახურდია) / ადამიანთა და ღმერთთა მამამ
(ლ. ბერძენიშვილი).

პოეტური ფორმულების თუნდაც ერთი თემატური ჯგუფის განხილვა, ილიადის პირველი თავის ფარგლებში, ამჟღავნებს ძირითად ტენდენციებს, რაც ვლინდება სტერეოტიპული ფორმულების ქართულ თარგმანებში.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანები, ძირითადად, დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მიერაა შესრულებული (აკ. ურუშაძე, რ. მიმინოშვილი, ლ. ბერძენიშვილი), გვხვდება ცალკეული უზუსტობები, როცა ფორმულაში შემავალი რომელიმე ბერძნული სიტყვა (ეპითეტი) ქართულში სხვადასხვაგვარადაა თარგმნილი; ან თარგმნისას გამოტოვებულია ფორმულის შემადგენელი რომელიმე სიტყვა; ან პირიქით, ჩასმულია სტრიქონში ზედმეტად, იქ, სადაც არ გვხვდება ორიგინალში. ეს თავისებურებები და გარკვეული უზუსტობები უფრო პოეტურ თარგმანებში გვხვდება, რაც, ზოგადად, პოეტური თარგმანის სირთულეებითაც შეიძლება ავსხნათ. ფაქტია, რომ განხილული პროზაული თარგმანი გაცილებით უფრო ზუსტია დედანთან მიმართებაში, პოეტური ფორმულების თარგმნის თვალსაზრისით.

ეპიკური ჟანრის ნაწარმოების თარგმნისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პოეტური ფორმულების როლი და სპეციფიკა და ისინი მაქსიმალური სიზუსტით უნდა იქნეს თარგმნილი, რომ არ დაირღვეს ორიგინალის მხატვრული, შინაარსობრივი და სტრუქტურული მთლიანობა.

ბიბლიოგრაფია

გიორგაძე, მარინე, *პოეტური ფორმულების სტრუქტურისათვის ძველ ბერძნულ და ქართულ ეპიკურ პოეზიაში*, სადიპლომო ნაშრომი, შესრულებული თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე, 1982 (ხელნაწერის უფლებით).

გორდუზიანი, რისმაგ et. al. (dir.), *ანტიკური ლიტერატურა*, თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“, 2005.

ჰომეროსი, *ილიადა*, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თარგმნა რ. მიმინოშვილმა, 1979.

ჰომეროსი, *ილიადა*, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა, 2015.

ჰომეროსი, *ილიადა*, სიმღერა პირველი, თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“, თარგმნა აკ. ურუშაძემ, 2019.

ჰომეროსი, *ილიადა*, ქება I, თბილისი, თარგმნა ზ. გამსახურდიამ.

ჰომეროსი, *ილიადა*, I სიმღერის დასაწყისი, თარგმნა დ. წერედიანმა, წიგნში: დავით წერედიანი, *ანარეკლი*, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014, გვ. 225-229.

Homer, *Iliad*, Book 1: <https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus> (ნახვა 19 დეკემბერი 2021).

Parry, Milman, “Studies in the Epic Technique of Oral Verse-Making I. Homer and Homeric Style”, in *Harvard Studies in Classical Philology*, vol. 41, Harvard U. P., 1930, p. 73-148.

Pope, M.W.M., “The Parry-Lord Theory of Homeric Composition”, in *Acta Classica*, vol. 6, Classical Association of South Africa, 1963, p. 1-21.

Whallon, Willam Whallon., *Formula, Character and Context*, Cambridge, 1969.

Тронский, Иосиф Моисеевич, *Вопросы языкового развития в античном обществе*, Л., Наука, 1973.